


# ქალთა ინიციატივა უსაფრთხოებისა და თანასწორობისათვის (WISE)

მცირე გრანტების პროგრამა საქართველოში
განმახორციელებელი ორგანიზაცია: MERCY CORPS

თარიღები: ივლისი-ნოემბერი 2025

**საერთაშორისო ორგანიზაცია Mercy Corps, პროგრამის ,,ქალთა ინიციატივა უსაფრთხოებისა და თანასწორობისთვის ''(WISE) ფარგლებში აცხადებს მცირე გრანტების (SSG) კონკურსს.**

პროგრამას, ,,ქალთა ინიციატივა უსაფრთხოებისა და თანასწორობისთვის'' (WISE) საქართველოსა და სომხეთში ახორციელებს საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია მერსი ქორფსი (Mercy Corps ).

აღნიშნული პროგრამა მიზნად ისახავს ქალთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერას, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის (VAWG) საკითხებზე თემში ცნობიერების ამაღლებას, ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმებისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის შემთხვევათა (VE) გამოვლენას. პროგრამა ასევე მუშაობს ადგილობრივ ორგანიზაციებთან სხვა, თემატურად დაკავშირებულ საკითხებზე, რომელიც შეიძლება არსებობდეს სოციალურად და ეკონომიკურად მოწყვლად სოციუმში.

მცირე საგრანტო კონკურსი წარმოადგენს WISE პროგრამის შემადგენელ ნაწილს. კონკურსის საბოლოო მიზანია ქალებისა და გოგონების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა საზოგადოებისა და თემის განვითარების ასპექტებში.

**მცირე გრანტების სამიზნე არეალი: სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლისა და კახეთის რეგიონები, საქართველო**

**საქმიანობები, რომლებიც შესაძლოა დაფინანსდეს მცირე გრანტების ფარგლებში**

- საგანმანათლებლო ტრენინგები;
- საინფორმაციო კამპანიები ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის საკითხებზე;
- SAFE You აპლიკაციის საინფორმაციო კომპონენტი უნდა იყოს საგრანტო პროექტის შემადგენელი ნაწილი.

პროგრამით გათვალისწინებული ყველა საქმიანობა უნდა შესრულდეს 3 თვიან პერიოდში, საბოლოო ანგარიშების წარდგენა უნდა მოხდეს 2025 წლის 15 დეკემბრამდე.

**ჯამურად დაფინანსდება 10-15 განაცხადი!**

**საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა:**

პროგრამაში მონაწილეობისათვის აუცილებელი წინაპირობაა, განმცხადებელი ორგანიზაციები აკმაყოფილებდნენ შემდეგ კრიტერიუმებს:

- იყოს საქართველოში რეგისტრირებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- წარმოადგენდნენ სამოქალაქო, სათემო ან კერძო კოლეჯს ან სხვა სასწავლო დაწესებულებას;
- ორგანიზაციაში დასაქმებულთა მინიმუმ 50% იყვნენ ქალები;
- ჰქონდეს შესაბამის სფეროში მუშაობის მინიმუმ 6 -თვიანი გამოცდილება ;
- წარმოდგენილი საპროექტო განაცხადის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს

  **NOTE: ფიზიკური პირების მიერ წარდგენილი ინდივიდუალური განაცხადები არ მიიღება!**

**პროგრამის საგრანტო ინფორმაცია**

- თითოეული გრანტის მოცულობა შეადგენს მაქსიმუმ 3 000 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარში, პირველადი შერჩევის შემდეგ, აპლიკანტს მიეცემა 10 დღე დეტალური საბიუჯეტო ფორმის შესავსებად და წარსადგენად;
- დაფინანსების შემდეგ, არაუმეტეს ბიუჯეტის 10% გადანაწილება ბიუჯეტის სტრიქონებს შორის შესაძლებელია წინასწარი მოთხოვნის საფუძველზე;

დაფინანსება არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ადმინისტრაციული ხარჯებისთვის (ქირა, ხელფასი და სხვა.)!

დაფინანსება არ შეიძლება იქნას გამოყენებული ისეთი საქმიანობებისათვის , რომელიც არღვევს უსაფრთხოებისა და ეთიკის სტანდარტებს!

**განაცხადის პროცედურა**

საგრანტო პროგრამაში მონაწილეობის მსურველმა ორგანიზაციამ უნდა გამოგზავნოს განაცხადი ელექტრონულ ფოსტაზე: WISEGrants@mercycorps.org სათაურით: **“The SSG Application 2025 Georgia”**

SSG საგრანტო განაცხადის პაკეტი უნდა მოიცავდეს ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტებს:

- სააპლიკაციო ფორმა;
- ორგანიზაციის გამოცდილება და ძირითადი თანამშრომლების CV;

WISE

- სამუშაოს აღწერილობა  (არაუმეტეს 3 გვერდისა).
- თანადაფინანსების დეტალები (არსებობის შემთხვევაში);
- დამატებითი დოკუმენტები/მასალები (არასავალდებულო);

**SSG საგრანტო კონკურსის დროითი ბადე:**

| | |
|---|---|
| განცხადების მიღება | **2025 წლის 9 ივლისიდან 31 ივლისის 18:00-მდე** |
| გამარჯვებული პროექტების გამოვლენა | 2025 წლის აგვისტო |
| SSG პროექტის განხორციელების ვადები | 2025 წლის სექტემბერი – ნოემბერი |
| საბოლოო ანგარიშების წარდგენის ვადა | 2025 წლის 15 დეკემბერი |

**მონიტორინგი და შეფასება**

- ყველა დაფინანსების მიმღები ვალდებულია Mercy Corps-ს მიაწოდოს საბოლოო ანგარიში, SSG პროექტის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში
- WISE პროგრამის ინიციატივით გაიმართება სულ მცირე ერთი მონიტორინგ ვიზიტი
- აუცილებელია ყველა დოკუმენტის მინიმუმ 5 წლით შენახვა

**შეფასების კრიტერიუმები**

განაცხადები შეფასდება 85-ქულიანი სისტემით:

| კრიტერიუმი | ქულა | აღწერა |
|---|---|---|
| შესაბამისობა | **1–10** | მინიმალურ მოთხოვნებთან და პროგრამის პრიორიტეტებთან შესაბამისობა |
| გამოცდილება | **1–20** | ორგანიზაციული და თანამშრომლების კვალიფიკაცია |
| რელევანტურობა | **1–10** | **VAWG/VE** მიზნებთან შესაბამისობა |
| ზეგავლენა | **1–30** | მოსალოდნელი მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგები |

| | | |
|---|---|---|
| **ბიუჯეტი** | **1–10** | **რესურსების დაგეგმვა, გამჭირვალობა და მიზანშეწონილობა** |
| **ბონუს ქულა** | **5** | **უპირატესობა მიენიჭება არაცენტრალურ დასახლებებში განსახორციელებულ აქტივობებს, მოწყვლადი ჯგუფებისა და უმცირესობების ჩართულობაზე ორიენტირებულ განაცხადებს.** |

მინიმალური გამსვლელი ქულა: 43/85 (საერთო შეფასების 50 %-ზე მეტი), ყველა განაცხადის შერჩევის შესახებ საბოლოო პასუხი მოგეწოდებათ, განაცხადების მიღების დასრულებიდან 2 კვირის ვადაში.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში, გთხოვთ მოგვმართეთ წერილობით, ელ ფოსტაზე: wisegrants@mercycorps.org